InterPressNews 1.10.2020

Heavy rain created problems in Batumi

Several supermarkets on Gorgiladze and Griboedovi Streets and several central roads were flooded in Batumi, as a result of a heavy rain. According to citizens, these roads are often flooded during rainy days, for which they blame the mayor's office; according to them, flooding happens because drainage system is out of order. Flow of water was so abundant in the central road of the so called "swamp settlement" that it was dangerous to walk not to be swept away. In the so called "business settlement" people also asked for help. According to the locals, a river washed away part of the land near their houses. They said that they have applied to the Batumi mayor's office several times to ask for the river bank protection infrastructure but never got any attention or help. "The River is approaching our houses. We have evacuated children to safer places. We asked mayor's office to build a bank protection system, but no result came out of this so far. We have been asking for this for 8 years. Specialists came from Tbilisi and got acquainted with the situation too," – the locals said.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/621396-zlierma-cvimam-batumshi-problemebi-shekmna

ძლიერმა წვიმამ ბათუმში პრობლემები შექმნა

ბათუმში ძლიერი წვიმის შედეგად გორგილაძისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე ცენტრალური გზა და რამდენიმე მაღაზია დაიტბორა. როგორც მოქალაქეები აცხადებენ, აღნიშნული გზის მონაკვეთზე დატბორვა ხშირად ხდება, რის გამოც ბათუმის მერიას ადანაშაულებენ, რადგან წყლის შესაბამისი არხები არ არის მოწესრიგებული.

აღსანიშნავია, რომ უხვი ნალექის გამო წყლის მასა დაგროვდა ე.წ. ჭაობის დასახლებაში ცენტრალურ საავტომობილო გზაზეც, სადაც ქვეითებს გადაადგილება უჭირს.

ასევე, ე.წ. ბენზეს დასახლებაში მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. როგორც შეკრებილები აცხადებენ, 10-მდე ოჯახს საფრთხე ემუქრება, რადგან საცხოვრებელ სახლთან მდინარემ მიწის მასა წაიღო.

მოსახლეობის თქმით, მათ ბათუმის მერიას მდინარესთან ჯებირების მოწყობის თხოვნით არაერთხელ მიმართეს, თუმცა უშედეგოდ.

"ნელ-ნელა მდინარეს გზის სავალი ნაწილი მიაქვს, ფაქტობრივად მდინარე საცხოვრებელი სახლებისკენ მოიწევს. 10-მდე ოჯახს საფრთხე გვემუქრება. ბავშვები უსაფრთხო ადგილზე გვყავს გაყვანილი. მერიას ვთხოვეთ, ჯებირების მოწყობა, თუმცა შედეგი არაფერი. 8 წლის განმავლობაში, ვითხოვთ დახმარებას, თბილისიდანაც იყვნენ სპეციალისტები და ადგილზე გაეცნენ სიტუაციას", - აცხადებენ მოქალაქეები

შემთხვევის ადგილზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში გიორგი კირთაძე მივიდე და ადგილზე სიტუაციას ეცნობა.

"აჭარაში უხვი ნალექის გამო, ამ დროისთვის 30-მდე გამოძახება იყო. ყველაზე მოხდა რეაგირება. არავინ დაშავებულა. გამოძახების უმეტესობა ეხებოდა ეზოების დატბორვას", - აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

InterPressNews

2.10.2020

Archil Chikovani – we assess the damage cause by heavy rains in Batumi

Deputy mayor of Batumi said his office is assessing the damage caused by heavy rainfalls in the city. He said every call incoming from the hotline will be assessed and addressed.
“As a result of a heavy rainfall several rivers broke their bank and flooded a nearby territory settles by local people. Several streets were also flooded because the drainage system could not handle the water pressure. Main roads were blocked and damaged. Respective services from mayor’s office are in the field. Ministry of Interior is with us too. We assess all the loss introduced to us via hotline. We will address each and every case,” – Archil Chikovani declared.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/621421-archil-chikovani-batumshi-uxvi-nalekis-shedegad-miqenebuli-zaralis-datvla-mimdinareobs

არჩილ ჩიქოვანი - ბათუმში უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა მიმდინარეობს

ბათუმში უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა მიმდინარეობს ,- ამის შესახებ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა განაცხადა.

მისი თქმით, მოქალაქეების მხრიდან ცხელ ხაზზე შემოსულ თითოეულ ზარს შეისწავლიან.

"უხვი ნალექის შედეგად ბათუმისა და მიმდებარე ტერიტორიებზე მდინარეების ადიდება მოხდა, რამაც კალაპოტიდან მდინარის გადმოსვლა გამოიწვია, ასევე სანიაღვრე არხებით, ქუჩები დაიტბორა. ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურა დაიტბორა.

მერიის შესაბამისი სამსახურები ადგილზე იმყოფებიან. ჩვენთან ერთად მუშაობენ შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი სამსახურები.

მიმდინარეობს ზარალის დათვლა, რომელიც ცხელ ხაზზე დაფიქსირდა. ყველა მათგანზე რეაგირება იქნება“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

InterPressNews

2.10.2020

Landslide sweeps house with people inside in Khelvachauri Municipality

According to the Emergency Situation Service, a large landslide swept one house with people inside, which came as a result of a heavy precipitation in Khelvachauri. The emergency office is still looking for the missing people.

As a result of a heavy precipitation, the discharge of rivers and cricks has largely increased.

According to the Emergency Situations office, one car was also seized by the river Satekhia, but there were no people inside. According to Batumelebi news website, the driver of the car is missing. 60 lifeguards are searching for him.

According to the Emergency Situation Service, additional workforce is coming to Batumi from Imereti region – 19 lifeguards and 20 lifeguards from Tbilisi as well.

მთავარი, სიახლეები

ნანა კვაჭაძე - 02.10.2020

ხელვაჩაურში მეწყერმა სახლი წაიღო, სადაც ადამიანები იმყოფებოდნენ – საგანგებო

MED CENTER

პროფესიონალთა გუნდი

ჩაეწერე ექიმთან 596 22 60 60

მოწონება 1,1 ათ. გაზიარება

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, პირველ ოქტომბერს, ღამით, აჭარაში მოსული უხვი ნალექის შედეგად ხელვაჩაურში მეწყერმა ერთი სახლი წაიღო, სადაც იმყოფებოდნენ მოქალაქეები. ამ დროისთვის მიმდინარეობს მათი საძიებო სამუშაოები.

აჭარაში უხვი ნალექის გამო ადიდებულია მდინარეები და ღელეები.

ასევე, საგანგებო წერს, რომ მაშველებმა ავტოამწის დახმარებით, მდინარე სატეხიიდან ამოიტანეს ერთი ავტომობილი. მასში ადამიანები არ იმყოფებოდნენ.

„ბათუმელების“ ინფორმაციით, ადგილზე ეძებენ ავტომანქანის მძღოლს.

სამუშაოებში ჩართულია აჭარის 17 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი, 60-კაციანი შემადგენლობით.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით, აჭარაში დამატებით მიემართება იმერეთიდან – სპეციალური საშუალებებით აღჭურვილი 5 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი 18-კაციანი შემადგენლობით, სამეგრელოს 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი 19-კაციანი შემადგენლობით და თბილისის 3 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი 20-კაციანი შემადგენლობით.

Source:

https://batumelebi.netgazeti.ge/news/303486/?fbclid=IwAR0MVMnaiIMhke2T24mj6jnHbfBqjvfbCcHacg4Hz66dOQ5aUA5_r-qDKXo

3.10.2020

InterPressNews

Lifeguards found a body of a dead teenager under the landslide

In the village of Jocho of Khelvachauri Municipality a body of a dead teenager was found under the large landslide. According to Konstantine Ananiashvili, the chief of the police department of Adjara, the process is over in the village of Jocho.

„We have found a teenager, his body is identified. We continue looking for the body of a middle-aged man, who was probably seized by the river. I would like to thank all the lifeguards who took part in this process“, - Ananiashvili said.

Yesterday, after a 20-hour search, four people’s bodies were found. They included the bodies of a wife and a husband and two young men.

Parallel works continue in the river of Mejinistskali, where a man has disappeared.

Souce:
https://www.interpressnews.ge/ka/article/621693-xelvachaurshi-mashvelebma-mecqershi-moqolili-mozardis-cxedari-ipoves

iPN პოლიტიკა საგარეთაული საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

ხელვაჩაურში მაშველებმა მეწყერში მოყოლილი მოზარდის ცხედარი იპოვეს

ხელვაჩაურში, სოფელ ჯოქოში, მაშველებმა მეწყერში მოყოლილი მოზარდის ცხედარი იპოვეს. როგორც აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა კონსტანტინე ანანიაშვილმა განაცხადა, სოფელ ჯოქოში სამაშველო ოპერაცია დასრულდა.

"საძიებო სამუშაოები დასრულდა, არასრულწლოვნის ცხედარი ნაპოვნია. გრძელდება შუახნის მამაკაცის ძებნის სამუშაოები, რომელიც მდინარემ წაიღო.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მეხანძრე-მაშველს, რომელიც ჩართული იყო ოპერაციაში", - განაცხადა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კოტე ანანიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ, დამეწყრილ ტერორიაზე 20-საათიანი სამძებრო სამუშაოების შედეგად ოთხი ადამიანის ცხედარი იპოვეს, ნაპოვნია ცოლ-ქმრის ცხედარი, ასევე მსუბუქ ავტომობილში მყოფი 2 ახალგაზრდა მამაკაცი.

პარალელურად სამძებრო სამუშაოები მდინარე მეჯინისწყალზე მიმდინარეობს, სადაც მამაკაცი არის გაუჩინარებული.

InterPressNews 3.10.2020

Special committee will assess the amout of the harm caused by the natural disaster

Works are ongoing in Adjara to the alleviate the damage caused by the intense precipitation in the region. The Adjara government press speaker said special committee will take care of the intense natural disaster situation in the region. According to the government of Adjara, natural disaster caused damage in some places especially, which include four villages in Khelvachauri Municipality: Sharabidzeebi, Akhalsheni, Ortabatumi and Pheria.
20 potential landslides were activated as a result of the natural disaster.
As a precaution measure, five families left their houses temporarily. Village roads are being cleaned from the river deposits. These works are being carried out by Roads Department of Adjara.
“We plan to accomplish certain plans connected to infrastructure renovation, which entails to alleviate the harm caused by the disaster. Heavy precipitation caused these harsh results. We still seek for certain people who were unfortunately lost during dire times, all the lifeguards take part in this process, of course,” – announced Thornike Rizhvadze, the head of the Adjara Government.

IPN პოლიტიკა საგარეოპოლიტიკური საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

აჭარაში სპეციალური კომისია სტიქიისგან მიყენებულ ზარალს შეისწავლის

აჭარაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება.როგორც აჭარის მთავრობის პრესსამსახურში განაცხადეს, შექმნილია კომისია, რომელიც სტიქიისგან მიყენებულ ზარალს შეისწავლის.

უწყების ცნობით, აჭარაში სტიქიამ განსაკუთრებით დააზიანა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შარაბიძეების, ახალშენის, ორთაბათუმისა და ფერიის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლები. სტიქიის შედეგად 200- მდე მეწყრული კერა განვითარდა.

მეწყრული პროცესებით გამოწვეული საშიშროების გამო, საცხოვრებელი სახლები დროებით დატოვა ხუთმა ოჯახმა.

აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზების მიწის მასებისგან გაწმენდის სამუშაოები. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებში ჩართულია აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

,,ჩვენ ვგეგმავთ კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავს სტიქიით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციას. უხვმა ნალექმა განაპირობა საკმაოდ დიდი მასშტაბის სტიქია და შესაბამისად, დღეს ეს შედეგები გვაქვს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გრძელდება სამძებრო სამუშაოები, ჩვენ ვეძებთ ახალგაზრდა ბიჭს და რა თქმა უნდა, ყველა ჩართულია ძებნის პროცესში, ყველა მეხანძრე-მაშველი" , - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

Source:
https://www.interpressnews.ge/ka/article/621683-acharashi-specialuri-komisia-stikiisgan-miqenebul-zarals-sheiscavlis